დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109230582**
თარიღი:**27/02/2023**

,,სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220254 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება „სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220254 განკარგულებაში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისში, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი №1

სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახებისათვის, რომელთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავები არის ავარიულ მგდომარეობაში და ესაჭიროება გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები.

პროგრამა არ გულისხმობს დამხმარე ნაგებობების დაფინანსებას;

მუხლი 2. პროგრამის ზოგადი მახასიათებლები:

პირველი მუხლით გათვალისწინებული კატეგორიის ოჯახების საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება მოხდება დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფის (კომისიის) დასკვნის საფუძველზე. სარემონტო სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა მოხდება მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა (ბენეფიციარების) კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირი (ბენეფიციარი) შეიძლება იყოს - სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რეგიონიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული პირი, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული პირებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლი, რომლის სახურავი არის დაზიანებული და შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს;

მუხლი 4. პროგრამაში ჩართვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა (საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე) დახმარების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ)ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დ) სტიქიის გამო დმანისის მუნიციპალიტეტში გადმოსახლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ქ. დმანისში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული დოკუმენტი);

მუხლი 5. სამუშაო ჯგუფი (კომისია):

ა) წინამდებარე წესის შესაბამისად, პროგრამაში ჩართვის მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი (კომისია);

ბ) სამუშაო ჯგუფის (კომისია) წევრთა საქმიანობა არ ექვემდებარება ანაზღაურებას;

გ) სამუშაო ჯგუფის (კომისია) შემადგენლობაში შედიან დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში და საკრებულოში დასაქმებული პირები (საკრებულოს წევრები);

დ) სამუშაო ჯგუფი (კომისია) უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება სამუშაო ჯგუფის (კომისია) წევრთა ნახევარზე მეტი;

ე) სამუშაო ჯგუფი (კომისია) გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე პირების ხმათა მარტივი უმრავლესობით;

ვ) სამუშაო ჯგუფის (კომისია) წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან;

ზ) სამუშაო ჯგუფს (კომისია) ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარე ირჩევს მოადგილეს, რომელიც ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობებს მისი არ ყოფნის პირობებში;

მუხლი 6. პროგრამით მოსარგებლე პირთა (ბენეფიციარების) შერჩევის წესი:

ა) წინამდებარე პროგრამაში ჩართვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფთან (კომისია) წარსადგენ მასალებს, ამ პროგრამის მე-4 მუხლში წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად თან უნდა დაერთოს დმანისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შედგენილი დეფექტური აქტი თანდართული ფოტომასალით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართვის მსურველი პირი (ბენეფიციარი) არის ორი ან ორზე მეტი პირი, რომლებიც თანაბრად აკმაყოფილებენ ამ პროგრამის მე-3 მუხლში მოცემულ მახასიათებლებს, ხოლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხა საკმარისია მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის, სამუშაო ჯგუფი (კომისია), გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ისეთი დამატებითი კრიტერიუმებით, როგორიცაა:

- მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი;
- შემოსავლების საერთო რაოდენობა;
- სოციალური მდგომარეობა;
- სხვა ანალოგიური სახის კრიტერიუმები;

მუხლი 7. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა:

სამუშაო ჯგუფი (კომისია), წინამდებარე პროგრამის მე-5 მუხლში მოცემული წესის საფუძველზე შეარჩევს პროგრამაში ჩართვის მსურველი პირის (ბენეფიციარის) მონაცემებს და საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნის დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ჩართვის მსურველი პირის (ბენეფიციარის) განცხადების დაკმაყოფილების, ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.